საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/56

08 აპრილი 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ მერაბ ცინარიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (02.04.2021, ოქმი N27–20/5 და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (07.04.2021; №333475) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ მერაბ ცინარიძის სადისერტაციო ნაშრომის - „კოლხეთის დაბლობის რელიქტური კოლხური ტორფნარი ტყეების ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია, ჰაბიტატების აღდგენის შესაძლებლობები" საჯარო დაცვა დაინიშნოს 2021 წლის 17 აპრილს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში, (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი (ბიოლოგია) სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნაზი თურმანიძე- ბსუ-ს პროფესორი (ბიოლოგიის დოქტორი), კომისიის თავმჯდომარე;
ბ) ნანა ზარნაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, (ბიოლოგიის დოქტორი), კომისიის მდივანი;
გ) ნანა გვარიშვილი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
დ) ლალი ჟღენტი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;
ე) ოთარი ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი;

ვ) ირაკლი მიქელაძე - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი;

ზ) გურამ მემარნე - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

თ) ზოია სიხარულიძე - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ი) ნინო მემიაძე - ბათუმის ბოტანიკური ბაღის ადგილობრივი ფლორისა და კონსერვაციის განყოფილების უფროსი, ბიოლოგიის დოქტორი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბრძანება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაეგზავნოს დოქტორანტს და ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ განთავსდეს მის პირად საქმეში.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**